USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №20
მაისი, 2021

თბილისი, 2021

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

ნანუკა ყრუაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №20 ბიულეტენს. მასში აღწერილია მაისში განვითარებული ის მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ გარემოზე.

ნიკა მელიას საქმე

8 მაისს ევროკავშირმა მელიას სასარგებლოდ გირაო გადაიხადა.[1] გირაოს თანხა 40,000 ლარის ოდენობით გამოყო ევროპულმა ფონდმა დემოკრატიისთვის (European Endowment for Democracy), ხოლო ხელისუფლებას ის საიამ გადასცა.[2] 10 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა მელიას პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.[3] ამავე დღეს მელიამ საპატიმრო დატოვა.[4]

ნიკა მელიას გათავისუფლება დადებითად შეაფასა ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა. მისი აზრით, ამ ფაქტით 19 აპრილის შეთანხმების შესრულებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა აღნიშნა, რომ ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვა საკითხებზე ყურადღების გამახვილებასა და პოლიტიკური პარტიების კოოპერაციას გამჭვირვალე პარლამენტის შექმნაში.[5] ლიეტუვის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ჟიგიმანტას პავილიონისი ნიკა მელიას პატიმრობიდან გათავისუფლებას მიესალმა.[6] მან ამ საკითხში ევროკავშირის, აშშ-ის და საკუთარ წვლილს გაუსვა ხაზი.[7] ნიკა მელიას საქმეს გამოეხმაურა ევროპარლამენტის წევრი ანა ფოტიგაც.[8] მან აღნიშნა, რომ გირაოს გადახდა არ ნიშნავდა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას და ევროპარლამენტარები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს.[9] აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრმა ჯიმ რიშმა ასევე პოზიტიურად შეაფასა მელიას გათავისუფლება და იმედი გამოთქვა, რომ ის პარტიები,

---

[1] „საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადება ბ-ნ მელიას სასარგებლოდ გირაოს გადახდასთან დაკავშირებით", ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 8 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35eL6hk, განახლებულია: 11.06.2021.

[2] იქვე.

[3] „სასამართლომ ნიკა მელიას პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო", *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი"*, 2021 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TQvtu2, განახლებულია: 11.06.2021.

[4] „ნიკა მელიამ საპატიმრო დატოვა", *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი"*, 2021 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TkLcBB, განახლებულია: 11.06.2021.

[5] Viola von Cramon, Twitter post, 10 May 2021, 5:42 PM, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gkQg0k, განახლებულია: 11.06.2021.

[6] „ჟიგიმანტას პავილიონისი - ბოლოს და ბოლოს ნიკა მელია თავისუფალია - ყველას ვულოცავ", *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი"*, 2021 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ve4Dcn, განახლებულია: 11.06.2021.

[7] იქვე.

[8] „ანა ფოტიგა - ოპოზიცია, რომელიც რჩება პარლამენტს მიღმა, ამცირებს საქართველოს შესაძლებლობებს - ხელისუფლებამ უნდა გახადოს შესაძლებელი და ოპოზიციამ უნდა გამოიჩინოს ნება, რომ გამოინახოს საერთო ენა", *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი"*, 2021 წლის 12 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3izYrcb, განახლებულია: 11.06.2021.

[9] იქვე.

რომლებსაც შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელი არ ჰქონდათ მოწერილი, ამ ნაბიჯს გადადგამდნენ და პარლამენტში კუთვნილ ადგილებს დაიკავებდნენ.[10]

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარლამენტში შესვლა

30 მაისს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს შეხვედრის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ პარტიამ პარლამენტში შესვლა გადაწყვიტა.[11] თუმცა, როგორც თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ აღნიშნა, ისინი შარლ მიშელის დოკუმენტის ხელმოწერას არ აპირებდნენ.[12] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო ამნისტიის შესახებ პუნქტის შინაარსით, რომელსაც ისინი კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ.[13] ეს ფაქტი ერთობლივი განცხადებით უარყოფითად შეაფასეს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ და აშშ-ის საელჩომ.[14] განცხადების მიხედვით, 19 აპრილის შეთანხმებაზე პარტიის ხელმოწერა „აჩვენებდა მზაობას, [შეესრულებინა] ფუნდამენტური ამოცანები საქართველოს, მისი მოქალაქეების, ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებისა და საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე“.[15]

ამნისტიის კანონპროექტი

13 მაისს პარლამენტის ბიუროს წარედგინა 2019 წლის 19-21 ივნისის საქმეზე ამნისტიის შესახებ მმართველი გუნდისა და ოპოზიციის მიერ შემუშავებული ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კანონპროექტი.[16] ბიუროს სხდომაზე განისაზღვრა კანონპროექტის კომიტეტებისთვის გადაცემის საკითხი. წამყვან კომიტეტად იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განისაზღვრა.[17] 24 მაისს კანონპროექტების განხილვები დაიწყო.[18] ამნისტიის შესახებ ორივე დოკუმენტი ჯერ ადამიანის უფლებათა, ხოლო შემდგომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა.[19] 27 მაისს ორივე

---

[10] „ჯიმ რიში - ახლა, როცა ბატონი მელია გათავისუფლდა, ველოდები, რომ, ვისაც ჯერ არ მოუწერია ხელი შეთანხმებისთვის, მოაწერენ და დაიკავებენ თავიანთ ადგილებს პარლამენტში”, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3znm39A, განახლებულია: 11.06.2021.

[11] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში შედის”, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RJocvo, განახლებულია: 11.06.2021.

[12] იქვე.

[13] „ნაციონალური მოძრაობა” შარლ მიშელის დოკუმენტს ხელს არ აწერს”, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gq5X6A, განახლებულია: 11.06.2021. „ხატია დეკანოიძე განმარტავს, რატომ არ აწერს ხელს „ნაციონალური მოძრაობა” შარლ მიშელის დოკუმენტს”, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35cHQ68, განახლებულია: 11.06.2021.

[14] „აშშ-ის საელჩო და ევროკავშირის წარმომადგენლობა - ძალიან ვწუხვართ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ” დღეს არ გამოიყენა შესაძლებლობა, შეერთებოდა სხვა საპარლამენტო პარტიებს და 19 აპრილის შეთანხმებისთვის ხელი მოეწერა”, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pL2K63, განახლებულია: 11.06.2021.

[15] „საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და აშშ-ის საელჩოს ერთობლივი განცხადება ევროკავშირის მედიაციით 19 აპრილს მიღწეული შეთანხმების შესრულების შესახებ“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zkHCrG, განახლებულია: 11.06.2021.

[16] „პარლამენტის ბიუროზე ამნისტიის შესახებ მმართველი გუნდისა და ოპოზიციის მიერ შემუშავებული ორი კანონპროექტი წარადგინეს”, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zkHwQQ, განახლებულია: 11.06.2021.

[17] იქვე.

[18] „20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ მმართველი გუნდისა და ოპოზიციის ალტერნატიული კანონპროექტების საკომიტეტო განხილვები დღეიდან იწყება”, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pHFW78, განახლებულია: 11.06.2021.

[19] იქვე.

კანონპროექტზე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იმსჯელეს.[20] „ქართული ოცნების“ ვერსიამ 87 დეპუტატის მხარდაჭერა მოიპოვა და, შედეგად, ის პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.[21] რაც შეეხება ოპოზიციის ვარიანტს, მასზე კენჭისყრა ინიციატორთა მოთხოვნით გადაიდო.[22]

17 მაისს საიამ საქართველოს პარლამენტს „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ ამნისტიის შესახებ ინიცირებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით მოსაზრებები წარუდგინა.[23] დოკუმენტი მიმოიხილავს იმ ქმედებების ჩამონათვალს, რომლებზეც საერთაშორისო სამართლით აკრძალულია ამნისტიის განხორციელება.[24] ის, ასევე, მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს პოლიტიკური კრიზისის დაძლევის მიზნით 19 აპრილს პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმების „საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიულ იმპლემენტაციას“.[25]

საარჩევნო რეფორმა

<u>საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის საარჩევნო რეფორმის მხარდასაჭერი შეხვედრები</u>

8-11 მაისს გაიმართა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საარჩევნო რეფორმის მხარდასაჭერი მესამე შეხვედრა, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები. მონაწილეებმა განიხილეს საარჩევნო დავებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსში მარტში წარდგენილი ცვლილებების შესახებ. შეხვედრის მოდერატორები იყვნენ IRI-ის დირექტორი ჯონ დიპირო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) დირექტორი ნინო დოლიძე. შეხვედრებს ესწრებოდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: საია, ISFED-ი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, კარგი მმართველობის ინსტიტუტი და მრავალეროვანი საქართველო, ხოლო პოლიტიკური პარტიებიდან - „მოქალაქეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „ლეიბორისტული პარტია“, „რესპუბლიკური პარტია“ და „ლელო საქართველოსთვის“.[26] 20-21 მაისს ჩატარდა საარჩევნო დიალოგის მორიგი შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც მონაწილეებმა საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმაზე ისაუბრეს.

<u>საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრები</u>

11 მაისს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საარჩევნო კანონპროექტის განხილვის ვადის უკვე მეორედ გახანგრძლივება მოითხოვა. ბიუროს გადაწყვეტილებით, 13 მაისს ვადა კიდევ 30 დღით გაგრძელდა.

14-15 მაისს საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფმა შეხვედრები გამართა,[27] რომლებზეც

[20] „პარლამენტმა „ქართული ოცნების” მიერ მომზადებული „ამნისტიის შესახებ” კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო”, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 27 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TQwd2i, განახლებულია: 11.06.2021.

[21] იქვე.

[22] იქვე.

[23] „საიამ საქართველოს პარლამენტს ამნისტიის კანონპროექტების შესახებ მოსაზრებები წარუდგინა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pNnFW6, განახლებულია: 11.06.2021.

[24] იქვე.

[25] იქვე.

[26] „კაჭრეთში შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმომწერი პარტიების შეხვედრა მიმდინარეობს”, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RPaRBY, განახლებულია: 11.06.2021.

[27] „საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულმა სამუშაო ჯგუფმა მორიგი შეხვედრა გამართა“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TqwmcQ, განახლებულია:

საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა რამდენიმე საკითხზე, კერძოდ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეების შერჩევისა და ადმინისტრაციის დაკომპლექტების შესახებ იმსჯელეს.[28] 17 მაისს სამუშაო ჯგუფმა ბოლო შემაჯამებელი შეხვედრა გამართა.[29] მან საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის პოზიციების დაახლოებითი ცვლილებების პროექტი მოამზადა, რომელიც შემდგომ ვენეციის კომისიაში გაიგზავნა.[30]

<u>საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონპროექტის განხილვა პარლამენტში</u>

21 მაისს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონპროექტის განხილვა დაიწყო.[31] 21-22 მაისს კანონპროექტის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტების ერთობლივ, ასევე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომებზე იმსჯელეს.[32] შეხვედრებს ესწრებოდნენ საიას, ISFED-ის, მრავალეროვანი საქართველოს, პროფკავშირების, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს, „ქართული ოცნებისა“ და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები. კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს საკანონმდებლო პაკეტის პლენარულ სხდომაზე გატანას.[33] 25 მაისს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს მხარი ერთხმად დაუჭირა.[34] საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების პროექტის მიღება საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე იგეგმება.[35]

დროებითი საგამოძიებო კომისია

31 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემსწავლელ პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას უფლებამოსილების 3-თვიანი ვადა 17 მაისს ეწურებოდა, თუმცა მას ამ დრომდე არცერთი სხდომა არ ჰქონდა ჩატარებული.[36] საპარლამენტო უმრავლესობამ ეს იმით ახსნა, რომ ისინი პარლამენტში

11.06.2021; „საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებით პარლამენტში სამუშაო შეხვედრები გრძელდება“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zkHSqE, განახლებულია: 11.06.2021.

[28] „საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულმა სამუშაო ჯგუფმა მორიგი შეხვედრა გამართა“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*.

[29] „სამუშაო ჯგუფის ფორმატში საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებზე მუშაობა დასრულდა“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 17 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35alLFc, განახლებულია: 11.06.2021.

[30] იქვე; „საარჩევნო ცვლილებების კანონპროექტი ვენეციის კომისიაში გაგზავნილია - რა არ უნდა გამოგრჩეს 21 მაისს“, *საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“*, 2021 წლის 21 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cAxdy1, განახლებულია: 11.06.2021.

[31] „დღეიდან პარლამენტი საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონპროექტის განხილვას იწყებს“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 21 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vk4qV4, განახლებულია: 11.06.2021.

[32] „ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 21 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vglOsw, განახლებულია: 11.06.2021; „იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 22 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3geUnwf, განახლებულია: 11.06.2021.

[33] იქვე.

[34] „პარლამენტმა საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს მხარი ერთხმად დაუჭირა“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 25 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gqu1pR, განახლებულია: 11.06.2021.

[35] „სამუშაო ჯგუფის ფორმატში საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებზე მუშაობა დასრულდა“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*.

[36] „არჩევნების შედეგების შემსწავლელ პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას 17 მაისს უფლებამოსილების 3-თვიანი ვადა ეწურება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 5 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vkmLBf, განახლებულია: 11.06.2021.

ოპოზიციის შესვლას და მუშაობის მათთან ერთად დაწყებას ელოდებოდნენ.[37] საგამოძიებო კომისიას პარლამენტმა ვადა ერთი თვით გაუხანგრძლივა.[38]

ამ კომისიის პირველი სხდომა 13 მაისს გაიმართა. მისთავმჯდომარედ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გივი მიქანაძე, ხოლო მდივნად - „ევროპელი სოციალისტების" წარმომადგენელი დავით ზილფიმიანი აირჩიეს.[39] 18 მაისის სხდომაზე კომისიამ სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.[40] 20 მაისს მისი წევრები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და არჩევნებზე მონიტორინგის განმახორციელებელი ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.[41] შეხვედრაზე იმსჯელეს კომისიის მუშაობასა და მასში ამ ორგანიზაციების ჩართვის საკითხზე.[42]

31 მაისს დროებითმა საგამოძიებო კომისიამ, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, გადასათვლელი საარჩევნო უბნები გამოავლინა.[43] ამავე პრინციპით შეირჩნენ საარჩევნო ბიულეტენების მთვლელებიც.[44] ბიულეტენების გადათვლის პროცესის დასრულება კვირის ბოლოსთვის განისაზღვრა.[45]

ახალი პარტიის – „საქართველოსთვის" – შექმნა

29 მაისს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოსთვის" დააფუძნა,[46] რომელიც მონაწილეობას მიიღებს 2021 წლის შემოდგომაზე დაგეგმილ თვითმმართველობის არჩევნებში.[47] როგორც პარტიის წევრმა შალვა კერესელიძემ აღნიშნა, ისინი ყველა მუნიციპალიტეტში წარადგენენ კანდიდატებს.[48]

---

[37] იქვე.

[38] „არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის წევრები დიპლომატიური კორპუსის და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ხვდებიან", *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი"*, 2021 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xkmXSJ, განახლებულია: 11.06.2021.

[39] „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ პირველ სხდომაზე საორგანიზაციო საკითხები განიხილა", *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xgzciY, განახლებულია: 11.06.2021.

[40] „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ სამოქმედო გეგმა დაამტკიცა", *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 18 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wg62kb, განახლებულია: 11.06.2021.

[41] „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საინფორმაციო სახის შეხვედრა გამართა", *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Tqxr4o, განახლებულია: 11.06.2021.

[42] „არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის წევრები დიპლომატიური კორპუსის და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ხვდებიან", *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი"*, 2021 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xkmXSJ, განახლებულია: 11.06.2021.

[43] „პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ გადასათვლელი საარჩევნო უბნები გამოავლინა", *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pOmZQ3, განახლებულია: 11.06.2021.

[44] იქვე.

[45] იქვე.

[46] „გიორგი გახარია დღეს პარტიის პრეზენტაციას გამართავს", *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი"*, 2021 წლის 29 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gh61a5, განახლებულია: 11.06.2021.

[47] „გიორგი გახარიას პარტია თბილისის მერის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას", *საინფორმაციო პორტალი „ფორმულა"*, 2021 წლის 28 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zmbnYP, განახლებულია: 11.06.2021.

[48] იქვე.